

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს **განცხადება კონფლიქტის შესახებ აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა**

წელიწადნახევარზე მეტი დრო გავიდა აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, შეიარაღებული კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების პროცესის დაწყებიდან. მიუხედავად დსთ, რუსეთის ფედერაციის, გაეროს, ეუთოს სამშვიდობო ძალისხმევისა, ეს პროცესი შორსაა დასრულებისაგან.

კონფლიქტმა ათასობით ადამიანის, უმეტესად მშვიდობიანი მოსახლეების დაღუპვა გამოიწვია. სამას ათასზე მეტი ადამიანი იძულებული იქნა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილები. აფხაზეთის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა პრაქტიკულად მთელი ქართული მოსახლეობა, რომელიც მის მცხოვრებთა 47 პროცენტს წარმოადგენდა.

ეუთოს ბუდაპეშტის შეხვედრამ უმაღლეს დონეზე გამოხატა ღრმა შემოფოთება ეთნიკურ წმენდასთან, უპირატესად ქართული მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივ განდევნასთან და დიდი რაოდენობით უდანაშაულო სამოქალაქო პირთა დაღუპვასთან დაკავშირებით.

თავის რეზოლუციაში 993 (1993) გაეროს უშიშროების საბჭო აღნიშნავს, რომ "კვლავ გრძელდება წინააღმდეგობა დაბრუნებულ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მიმართ აფხაზური ხელისუფლების მხრიდან".

დსთ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო მხარს უჭერს იმ ზომებს, რომელსაც ღებულობს რუსეთის ფედერაცია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით და მზადაა ამ მიმართულებით შესაძლო მხარდაჭერისათვის. საბჭო დარწმუნებულია იმაში, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მანდატის ვადის გაგრძელება, მასში კორექტივების შეტანით, შექმნის აუცილებელ პირობებს ყველა ლტოლვილის და ადგილნაცვალ პირის სასწრაფო, უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნებისათვის და ხელს შეუწყობს აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებას. საბჭოს მიაჩნია, რომ მოწესრიგება უნდა ხორციელდებოდეს ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების დაცვით, მიუხედავად წარმოშობისა, ეროვნული, რელიგიური და სხვა კუთვნილებისა.

ამ კონფლიქტისა და მისი შედეგების ლიკვიდაცია გახდებოდა დიდი მიღწევა მრავალეროვანი საქართველოსათვის, თანამეგობრობის სიმწიფისა და გონების გამარჯვება, მისი წონადი წვლილი ამიერკავკასიაში, მთელ დსთ სივრცეში ვითარების სტაბილიზაციაში.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო:

1. ადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისადმი, ემხრობა მოლაპარაკებათა გაგრძელებას და სასწრაფოდ დასრულებას, მოუწოდებს კონფლიქტის მხარეებს მიაღწიონ მის ფართომასშტაბიან მოწესრიგებას ერთიანი ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში.

2. მიესალმება საქართველოს რესპუბლიკის მზადყოფნას ჩაატაროს კონსულტაციები მისი ახალი კონსტიტუციის თაობაზე, რომელიც გახდებოდა საფუძველი სახელმწიფო მოწყობის ყველა სადაო საკითხის ღირსეული გადაწყვეტისათვის.

3. მხარს უჭერს აფხაზეთში კონფლიქტის ზონაში თავისი ქვეყნებიდან დამკვირვებელთა გაგზავნის თაობაზე თავისი გადაწყვეტილების განხორციელების აუცილებლობას.

4. ხელმძღვანელობს რა დებულებებით, რომელთაც შეიცავს 1995 წლის 10 თებერვლის აღმათის მემორანდუმი სეპარატიზმის საფრთხის დაძლევის თაობაზე, კონფლიქტის სასწრაფოდ მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნია ყველა თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოს მიერ ამ დებულებების განუხრელი დაცვა.

1995 წლის 26 მაისი

[\(Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб. 1999., გვ.59-60. საკუთარი თარგმანი\)](#)